პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი მოდუსი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა მონიავა

წევრი:

ხათუნა ფარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი მოდუსი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 31იანვრის ექსპერტთა ჯგუფმა (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 11იანვრის ბრძანება № MES 6 23 0000013633) განახორციელა ვიზიტი ქალაქ რუსთავში და მარნეულში სსიპ კოლეჯ მოდუსში „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ 2022 წლის 20 დეკემბრის № MES 6 23 0000013633 კორესპონდენციით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიმუშავა დღის განრიგი, როელიც ცენტრის წარმომადგენელმა გადაუგზავნა კოლეჯს. კოლეჯში ვიზიტი დღის წესრიგის შესაბამისად მიმდინარეობდა. (იხ. ვიზიტის განრიგი, დანართი N1).

ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, კონკრეტული მიმართულებებზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის განმახორციელებლებს (ნაწილთაონლაინ ჩართვა მოხდა) და პროგრამის ხელმძღვანელს. განხილული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები, კოლეჯის მატერიალური ბაზა, პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები, პრაქტიკის ობიექტები, პროგრამის მატერიალური რესურსი, პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა. ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდა ინფორმაცია მიგნებების შესახებ. ვიზიტი მიმდინარეობდა კეთილგანწყობილ და კონსტრუქციულ გარემოში.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ დაწესებულების წარმომადგენლები, პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ განხორციელების ერთ-ერთ საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნევენ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან ერთობლივად განხორციელებულ ქალმა მსჯავრდებულებმა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის სასწავლო კურსს.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად რეკომენდაცია არ გაცემულა.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის ბრძანება N373, 19/12/2022. ბრძანება N 30, 31/01/2023.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	მარნეული, იაღლუჯის დასახლება
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი, მარნეული, იაღლუჯის დასახლება მოდულური (კოოპერაციული)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

   შპს კოლეჯი „მოდუსის“ მიერ პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ განხორციეელების გადაწყვეტილება შესაბამის დასაბუთებას ეყრდნობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების საკითხები კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის (კოლეჯის დირექტორის ბრძანება N271, 09/10/2019წ.) მეორე თავით რეგულირდება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ინიცირება შეუძლია კოლეჯში დასაქმებულ ნებისმიერ პირს. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო, მათ შორის, ზოგადი საგანმანათლებლო მოდულებით ინტეგრირებული პროგრამების, მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების, მოკლევადიანი პროფესიული კურსების შერჩევა/დამატება ხდება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ კერძო სექტორთან მუდმივი თანამშრომლობისა და განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის №334 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით, ახალი პროგრამების დანერგვის იდეა შეიძლება სხვადასხვა წყაროდან წამოვიდეს. ეს შეიძლება იყოს ადმინისტრაციის, პროფესიული სტუდენტების, საზოგადოების ან სხვა ინსტიტუტების მოთხოვნის შედეგი. შესაბამისად, ფასდება ახალი პროგრამების დანერგვის შესაძლებლობა, მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობა. მიზანშეწონილობის დასაბუთება შესაძლოა დაეყრდნოს შრომის ბაზრის ანალიზს, დამსაქმებელთა მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგებს და სხვა. დადებითი გადაწყვეტილება კოლეჯის დირექტორის მიერ პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით შესაბამისი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში მიიღება.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ,,სამკერვალო წარმოების“ მოდულური პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომელიც ეფუძნება კვლევებს, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების შედეგებს. ყველა ამ კვლევებით დადასტურებულია მოთხოვნა სამკერვალო წარმოების შესწავლაზე. ,,მოდუსის“ მისიაა დაძლიოს გამოწვევები, გახდეს ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე და ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაიმკვიდრებს რეგიონში წამყვან პოზიციას პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობით და ხარისხიანი განათლების მიწოდებით. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, მისი ერთ- ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების განხორციელება. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებთანაც გაფორმებულია მემორანდუმები, დაადასტურეს, რომ პროგრამა შრომის ბაზარზე მოთხოვნადია, რომ საწარმოებს მუდმივად აქვთ კვალიფიციური კადრის დეფიციტი. ყოველივე აღნიშნულით დასტურდება, რომ კოლეჯის გადაწყვეტილება ,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შესაბამის დასაბუთებას ეფუძნება და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ პროგრამის დამატების გადაწყვეტილება დაეფუძნა სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ გამოცდილებას, რომელიც ამავე პროგრამას ახორციელებს ქალაქ რუსთავში და რომლის მომზადებული კადრებიც წარმატებულად არიან დასაქმებული ბაზარზე.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება **არაინტეგრირებული** გზით. „სამკერვალო წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს საბაზო განათლებას.

პროგრამაზე ჩარიცხვის პრობები შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით - **სამკერვალო წარმოება/ Sawing industry**, სარეგისტრაციო ნომერი 07120-პ, განსაზღვრულ მოთხოვნასთან.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ:** სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ დირექტორის მიერ 2022 წლის 24 მაისის ბრძანება N138-ით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. პროგრამაზე „სამკერვალო წარმოება“ სტუდენტთა რაოდენობა გაანგარიშებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამების სპეციფიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განთლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით. ასევე რაოდენობა დამოკიდებულია A, B და C სასწავლო გარემოში არსებული პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

კერძოდ: პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ერთი AC აუდიტორია. გარემო აღჭურვილია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით. AC სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტისათვის. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ერთი B აუდიტორია, რომელიც ასევე გათვლილია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტისათვის.

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 82 სასწავლო კვირას.
- პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის მოდულების ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს რამდენიმე კომპანიასთან, მათ შორის შპს „დარმატექსი“, შპს „ჯულია“, ი.მ. „მაგსუდ შარაევი“, ი.მ. „ელდარ კარაევი“.
- დასახელებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სამკერვალო წარმოების პროფესიულ საგანმნათლებლო პროგრამაზე შეუძლია ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის მიღება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

   დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი მოდული გათვალისწინებული არ არის.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

   სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მუხლი 2-ის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე, და მათში ცვლილების შეტანასა და გაუქმებაზე უფლებამოსილ პირს კოლეჯის დირექტორი წარმოდგენს. შესაბამისად, პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება N373 (19/12/2022) და შესულია ცვლილება ბრძანებით N 30, 31/01/2023.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

   კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სამკერვალო წარმოება“ თანხვედრაშია **სამკერვალო წარმოება/ Sawing industry** ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დასახელებასა და კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება, როგორც დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციებს, ასევე კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და ჩარჩო დოკუმენტს სამკერვალო წარმოება/ Sawing industry, სარეგისტრაციო ნომერი 07120-პ. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის **„სამკერვალო წარმოება“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.

პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები; სავალდებულო პროფესიული მოდულები; სასწავლო გეგმა; მატერიალური რესურსი და ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ.

მოდული „ქართული ენა A2“ სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება N42/ნ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე გასაუბრების/ტესტირებისჩაბარების გზით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი (კოლეჯის დირექტორის ბრძანება N271, 09/10/2019წ.);
- სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (კოლეჯის დირექტორის ბრძანება №334,05/11/2021);
- პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ (კოლეჯის დირექტორის ბრძანება N373, 19/12/2022. ცვლილება ბრძანებით N30, 31/01/2023);
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმები: შპს „დარმატექსი“ (ქ.რუსთავი, გაგარინის ქ.N28), შპს „ჯულია“ (ქ.მარნეული, ნარიმანოვის ქ.N4), ი.მ. „მაგსუდ შარაევი“ (ქ.მარნეული, ტ.ტაბიძის ქ.N3), ი.მ. „ელდარ კარაევი“(ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.N118);

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეულია:

A სასწავლო გარემო ესაჭიროება 2 მოდულის განხორციელებას და აღჭურვილია შესაბამისი აღჭურვილობით: სახატავი დაფა (15ც), დაფის სადგამი (15ც), წყლის ჭურჭელი -საღებავის გასაზავებლად (15ც), პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი -მაგიდა და სკამი (15ც), პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი -მაგიდა და სკამი (1ც), კომპიუტერი (1ც), დაფა(1ც), პროექტორი-დემონსტრირების ციფრული საშუალება (1ც).

B სასწავლო გარემო ესაჭიროება 1 მოდულის განხორციელებას და აღჭურვილია შესაბამისად.

C სასწავლო გარემო ესაჭიროება 13 მოდულის განხორციელებას და უზრუნველყოფილია შესაბამისი აღჭურვილობით: ლაბორატორიული მაგიდა (1ც), მიკროსკოპი (1ც), ქსოვილის სისქის მზომი (1ც), გრძელი სახაზავი (6ც), საფეიქრო ლუპა (15ც), სპირტქურა (2ც), ერთ ნემსიანი მაქური გვირისტის უნივერსალური საწარმოო საკერავი მანქანა (15ც), სამძაფიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა (1ც), ხუთძაფიანი, ორნემსიანი მანქანა -სამრეწველო (1ც), ღილკილოს შემსრულებელი მანქანა (1ც), ღილის დასაკერებელი ნახევრად ავტომატური მანანა -სამრეწველო (1ც), პროგრამული მართვის ნახევრადავტომატური საქარგავი მანქანა (1ც), ზიგზაგური გვირისტის მანქანა (1ც), ფიგურული გვირისტის სპეც მანქანა „რასპაშივალკა“(1ც), მცირე გაბარიტიანი ელექტრონული საგამომჭრელო მანქანა დისკური დანით (1ც), საუთოო წნეხი ვაკუუმის გამწოვით (IRON PRESS) (1ც), დაფა მარკერით(1ც), მიმმართველი თათები - თითოეული საკ. მანქანისთვის(30ც), სანტიმეტრული ლენტი(15ც), სათითე (15ც), სარღვევი (15ც), ხელით საკერავი ნემსების კრებული (15ც), საუთაო მაგიდა(1ც), ორთქლის უთო (1ც), ქინძისთავების ნაკრები (15ც),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ცარცი ქსოვილისთვის (15), პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი (1ც), ძაფის შესაჭრელი მაკრატელი (15ც), ქსოვილის დასაჭრელი მაკრატელი(15ც), კონსტრუირების მაგიდა(1ც), სკამი (15ც), მანეკენი -ქალის (2ც), სახაზავი იარაღების კომპლექტი (1ც), მანეკენი -მამაკაცის (2ც).

სამკერვალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღები სტუდენტების რაოდენობა არის 30. მოდულების განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობა გათვლილია ერთდროულად 15 სტუდენტისათვის. პარალელურად ორი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში არსებული აღჭურვილობით უზრუნველყოფილი იქნება ორივე ჯგუფი.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით, დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სამკერვალო წარმოების“ განხორციელებაში სულ ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 7 არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 3 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. სამივე მასწავლებელს აქვს კომპეტენცია თითოეული მოდულის განხორციელების, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა **„სამკერვალო წარმოება“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგარმაში ჩართული თითოეული მასწავლებელის პირადი საქმე. პირადი საქმეების შემოწმებისას გაირკვა, რომ პროგრამის მიზნებისთვის განსაზღვრულ ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელს პირად საქმეებში განთავსებულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები, სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელს ასევე აქვს სწავლების და სტუდენტის შეფასების კომპეტენცია. შესაბამისად, ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული მიმართულებით, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. დადგინდა, რომ რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. მათ შორის, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე სპეციალისტი. მას უდასტურდება ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნადაა ჩართული პროგრამის შემუშავებაში და სრულად ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან ინტერვიურებისას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

დაწესებულების შენობის მეორე სართულზე არის ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე (სადაც ერთდროულად შესაძლებელია 10 სტუდენტის მომსახურება), განთავსებულია სამი ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი სტუდენტებისათვის. კედელზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. პროგრამით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონულად პროფესიული კოლეჯის ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის სამკერვალო წარმოების განყოფილებაში. (http://www.modusi.ge/%e1%83%91%e1%83%98%e1%83%91%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%9d%e1%83%97%e1%83%94%e1%83%99%e1%83%90/). სადაც წარმოდგენილია მოდულები და თითოეულ მოდულში განთავსებულია ყველა ის ლიტერატურაც რაც ესაჭიროება ამ კონკრეტული მოდულის განხორციელებას. ექსპერტების მიერ ბიბლიოთეკის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არის წარმოდგენილი პროგრამის მხოლოდ ზოგადი მოდულების სახელმძღვანელოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

კოლეჯის შენობა ადაპტირებულია შშმ პირისათვის. შენობაში გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით, სამივე სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები.

კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით შემუშავებულია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რაც ითვალისწინებს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სსსმ პირთათვის შესაბამისი სასწავლო გაერემოს შექმნას. ამავე დოკუმენტში გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი. ვიზიტის პერიოდისათვის კოლეჯში სსსმ სტუდენტი არ ირიცხება.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

კოლეჯი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შესაბამისად ფინანსდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. კოლეჯს განაცხადის დანართად წარმოდგენილი აქვს დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროფესიული პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ ბიუჯეტი. პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 15 პროფესიული სტუდენტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2. შენობის აზომვითი ნახაზები;
3. მატერიალური რესურსისა და ინვენტარის ფლობის დოკუმენტები;
4. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა;
5. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება;
6. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები“;
7. სასწავლო პროცესის რეგულირების წესი (კოლეჯის დირექტორის ბრძანება N271, 09/10/2019წ.);
8. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (კოლეჯის დირექტორის ბრძანება №334,05/11/2021);
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **სამკერვალო წარმოება;**
10. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმები: შპს „დარმატექსი“ (ქ.რუსთავი, გაგარინის ქ.N28), შპს „ჯულია“ (ქ.მარნეული, ნარიმანოვის ქ.N4), ი.მ. „მაგსუდ შარაევი“ (ქ.მარნეული, ტ.ტაბიძის ქ.N3), ი.მ. „ელდარ კარაევი“(ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.N118);
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
14. დაწესებულების ვებგვერდი;
15. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის ბრძანებით N334. არსებული მექანიზმები ეფუძნება დემინგის ციკლს. რეგულაციის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ PDCA-ს მიხედვით ფასდება დაწესებულებაში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე პროცესები. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. პროგრამის შეფასებისათვის, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების ამოცანებად განსაზღვრულია: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; პროფესიულ სტუდენტთა მიერ კარიერული სერვისებისა და მხარდამჭერი ღონისძიებები შესახებ ინფორმირების ხარისხის შეფასება; პრობლემების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და რეკომენდაციების შემუშავება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაფასებლად კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სხვადასხვა კითხვარები და ფორმები: კითხვარი მასწავლებლისათვის სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებით; პროფესიული სტუდენტის კითხვარი მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მიზნით; კითხვარი პროფესიული სტუდენტისათვის სწავლების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი; დამსაქმებელთა კმაყოფილების კითვარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

პროგრაებმის შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი განვითარებისათვის. ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად მიმდინარეობს და არსებული მექანიზმები გამოყენებული იქნება ყველა პროგრამის შეფასებისათვის.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებით მიღებული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იყოს: პროგრამის დახურვა/პროგრამის გაუქმება; პროგრამის მნიშვნელოვანი გადამუშავება; პროგრამის უმნიშვნელო გადამუშავება დახვეწის მიზნით; სრული შესაბამისობის დადგენა. შესაბამისად პროგრამების შეფასება იყენებს სისტემურ მეთოდებს პროგრამების შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და კომუნიკაციისთვის, მისი განხორციელების, შედეგების ან ზემოქმედების გასაგებად. პროგრამების შეფასებისას მიღებული შედეგები დაწესებულებას ეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. ყოველივე აღნიშნულიდან დგინდება, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (კოლეჯის დირექტორის ბრძანება №334,05/11/2021);
2. სასწავლო გეგმა;
3. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია
4. ვერიფიკაციის პროცედურა და მექანიზმები;
5. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმები: შპს „დარმატექსი“ (ქ.რუსთავი, გაგარინის ქ.N28), შპს „ჯულია“ (ქ.მარნეული, ნარიმანოვის ქ.N4), ი.მ. „მაგსუდ შარაევი“ (ქ.მარნეული, ტ.ტაბიძის ქ.N3), ი.მ. „ელდარ კარაევი“(ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.N118);
6. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

   დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მეშვიდე თავი არეგულირებს სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს. ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის შესწავლისა და გასუბრების შედეგად დგინდება, რომ არსებული წესი დამკვიდრებულია დაწესებულებაში.

   „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თანმიმდევრულ განხორციელებას. მასში გათვალისწინებულია პროგრამით განსაზღვრული ყველა მოდული შესაბამისი თანმიმდევრობით. ვადებით უზრუნველყოფილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. წინაპირობებიანი მოდულების შემთხვევაში ითვალისწინებს დროის შუალედს (მინიმუმ ერთ კვირას) განმეორებითი შეფასებისათვის, რაც თანხვედრაშია დადგენილ წესთან და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ რეგულაციასთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის დაწყებამდე ადგენს კალენდარულ გეგმებს, სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს მეცადინეობათა ცხრილს და პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულებაში სასწავლო პროცესი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობს ორ ცვლაში. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამით გათვალისწინებული ვადები, მისაღწევი შედეგები (უნარ-ჩვევები და ცოდნა) რომელთაც პროგრამის დაძლევისას მიაღწევს პროფესიული სტუდენტი.

სასწავლო პროცესის რეგულერების წესში გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მომზადება/შემუშავება, როგორც ცალკეული სტუდენტისათვის ასევე სტუდენტთა ცალკეული ჯგუფებისათვის. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად განახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

გამოყენებას.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; ამისათვის პროგრამით განსაზღვრულ მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები. სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ ქალაქ რუსთავში ახორციელებს პროგრამას „სამკერვალო წარმოება“, შესაბამისად პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ გამოცდილება. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების ჩართულობას პროფესიული განვითარების, როგორც შიდა ასევე გარე აქტივობებში. რაც დასტურდება პროფესიულ მასწავლებელთა ინტერვიურების გზით, კოლეჯის სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციით.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ამისათვის დაწესებულებას სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილი აქვს ისგ-ს შედგენის წესი, სადაც დაკონკრეტებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემთხვევები:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის);
- პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ);
- სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ);
- მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

გადაყვანისას;

- პროფესიული სტუდენტებისთვის ფორსმაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ).

თითოეული შემთხვევისათვის გაწერილია როგორ რა პროცედურებით, ვის მიერ (პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი და ა.შ.) ხდება არსებულ საკითხზე მუშაობა. მათი ძირითადი მიზანია, მოხდეს ზუსტი განსაზღვრა თუ რა ტიპის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას და რა ტიპის რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიაღწიოს სასწავლო შედეგს.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

კერძოდ პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორებული აქვს 4 მემორანდუმი:

შპს „დარმატექსი“ (ქ.რუსთავი, გაგარინის ქ.N28), შპს „ჯულია“ (ქ.მარნეული, ნარიმანოვის ქ.N4), ი.მ. „მაგსუდ შარაევი“ (ქ.მარნეული, ტ.ტაბიძის ქ.N3), ი.მ. „ელდარ კარაევი“(ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.N118).

ურიერთთანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს კოლეჯის სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითრებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალების მომზადების ხელშეწყობა. მემორანდუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ფარგლებში პრაქტიკის ობიექტზე მოხდება მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა“, „პრაქტიკული პროექტი“ და „საწარმოო პრაქტიკის“ განხორციელება. მემორანდუმში მითითებულია განხორციელების ადგილი, სტუდენტების რაოდენობა.

შპს „დარმატექსთან“(ქ.რუსთავი) გაფორმებულ მემორანდუმში მოქმედების ვადა 5 წელი, 2027 წლის 12 დეკემბრამდე, ხოლო სტუდენტთა ერთდროულად მიღების რაოდენობა განსაზღვრულია 15-ით. საწარმოს დათვალიერებისა და წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ არა მხოლოდ 15, საჭიროების შემთხვევაში 30 სტუდენტის მიღებაც იქნება შესაძლებელი, ასევე აღნიშნეს რომ მარნეულიდან ტრანსპორტირებას თვითონ საწარმო უზრუნველყოფს.

მარნეულში განთავსებულ ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმში მოქმედების ვადა განსაზრვრულია „ხელმოწერის მომენტიდან უვადოდ“. სტუდენტთა მიღების რაოდენობა ერთდროულად შპს „ჯულია“ -ს შეუძლია 5 პროფესიული სტუდენტის, ხოლო ი.მ. „მაგსუდ შარაევს“ და ი.მ. „ელდარ კარაევს“ ორ-ორი პროფესიული სტუდენტის.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. შრომის უსაფრთხოების მიმართულებით დაწესებულებას შემუშავებული აქვს: შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქციები. კოლეჯის შენობის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის საკონტაქტო ნომერი, განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. მემორანდუმით გათვალიწინებულია ობიექტებთან უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, ამასთან საწარმოებში კედლებზე განთავსებულია უსაფრთხოების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სასწავლო პროცესის რეგულირების წესი (კოლეჯის დირექტორის ბრძანება N271, 09/10/2019წ.);
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (კოლეჯის დირექტორის ბრძანება №334,05/11/2021);
3. საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სასწავლო გეგმა;
5. პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან მემორანდუმები შპს „დარმატექსი“(ქ.რუსთავი, გაგარინის ქ.N28), შპს „ჯულია“ (ქ.მარნეული, ნარიმანოვის ქ.N4), ი.მ. „მაგსუდ შარაევი“ (ქ.მარნეული, ტ.ტაბიძის ქ.N3), ი.მ. „ელდარ კარაევი“(ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.N118).;
6. ისგ-ის შემუშავების წესი;
7. ვერიფიკაციის პროცედურა და მექანიზმები;
8. შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი წესი;
9. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და პროცედურები;
10. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

   სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მე-8 თავში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი და პროცედურა. რაც შემდეგ საკითხებს მოიცავს: შეფასების სახეები, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ძირითად და განმეორებით შეფასების თარიღები, შეფასების ფორმები, მიღებული შეფასების თაობაზე ინფორმირების საკომუნიკაციო გზები, პროფესიული სტუდენტის მიერ განმეორებითი შეფასების ჩატარების შესაძლებლობის ჯერადობა და განმეორებითი შეფასების ვადები, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცედურა, განმეორებითი შეფასების მოდიფიკაციის სკითხი, შეფასების დოკუმენტაციის შენახვის საკითხი, პროფესიული სტუდენტის შეფასების აპელაციის წესი, კვალიფიკაციის მინიჭება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების შესწავლისა და ანალიზის შედეგად ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამის მიზნებთან უზრუნველყოფილია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. ვერიფიკაციის პროცესებს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 05 ნოემბრის ბრძანება N334) ერთერთი საკითხი ვერიფიკაციის მექანიზმებია. არსებული დოკუმენტი შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული რეკომენდაციის შესაბამისად.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მუხლი 34-ით განსაზრვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შეფასების მტკიცებულებების შეანხვის ვადა - 3 წელი შეფასების განხორციელებიდან. შეფასების უწყისები იტვირთება e-flow-ს ელექტრონულ სისტემაში.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესის მენეჯერის, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მსგავს მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან. მათი ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის დაცვით.

აღნიშნულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტი ყველა შეფასების შემდეგ მიიღებს უკუკავშირს პროფესიული მასწავლებლისაგან. შესაბამისად მას ექნება საშუალება, რომ მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს შემდეგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სასწავლო პროცესის რეგულირების წესი (კოლეჯის დირექტორის ბრძანება N271, 09/10/2019წ.);
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (კოლეჯის დირექტორის ბრძანება №334,05/11/2021);
3. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი (სასწავლო პროცესის რეგულირების წესი)
4. ვერიფიკაციის პროცედურა და მექნიზმები (ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები)
5. კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
6. ინტერვიუს შედეგები;
7. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

02/03/2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____